


№ 18
ივნისი 1931

ნათელი

არს მათი მათი მათი
მე-**კვ** ბადა მ წყვეტი
ნაინ-ს სისის ბარა





ჩვენ ავირჩიეთ სახელმწიფო კრედიტის ხელის შემწყობი კომისია. მისი დანიშნულება, როგორც ყოველი ასეთი კომისიის, იყო სესხების გაფრცელებითვის ხელის შეწყობა, ამხანაგებზე ამხანაგური ზეგავლენის მოხდენა, რომ ობლიგაციები არ გაეყიდათ, შემხანგველ სალაროში შეეტანათ და სხ.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ კომისიის თავმჯდომარე ანტიფო ფრიად გულჩვილი კაცი აღმოჩნდა. კაცის გაკვირვებას ვერ უძლებს და ყოველ ნაბიჯზე სიბრაულის ცრემლებს ღვრის.

მაგალითად, ჩვენს ბუხპალტერს პალტო „დაეკარგა“. ვაიგო თუ არა ეს ამბავი სესხის კომისიის თავმჯდომარემ, ჯერ დაპაულებით ცრემლები გადმოყარა და შემდეგ „დამკვრელს“ ობლიგაციების გაყიდვა შესთავაზა:

— მოდი ბიჭო, დაგიწერ შუამდგომლობას და გაყიდე! შენ ხათრიანი ხარ და ვერ შეუბნებია...

ბუხპალტერმა უარი „ვეღარ სთქვა“, შუამდგომლობა წაიღო და ობლიგაციები გაჰყიდა.

ერთი კვირის შემდეგ მონაგარიშემ ამბავი მოიტანა, რომ მისმა ცოლის ძმამ შალგარი დაჰკარგა. ამ ფაქტს არავინ აუღელვებია, ანტიფოს გარდა, რომელსაც ცრემლით აფესო თავლები:

— ე ბიჭო, მოდი, ობლიგაციებს გაგაყიდინებ, ისე სად იშოვით შარვლის ფულს...

მონაგარიშეს უნდოდა ეთქვა, რომ ცოლისძმა დამოკიდებული კაცია და თავისი საკრედიტო კომისია ყუფს, მაგრამ ანტიფომ აღარ დააცალა, გავარდა კანცელიარიდან და სამ წუთში სათანადო შუამდგომლობა შეაჩერა ხელში.

ამას შემდეგ ხუთი დღეც არ გასულა, რომ საქმის მწარმოებელს საუბრის დროს „წამოსცდა“:

— საწყალ ჩემ სიმამრს გუშინწინ ჩემი ნაჩუქარი ნაბადი მოპარეს!

ამის თქმა და ანტიფოს გულის აჩვილება ერთი იყო. სამუშაოს გათავებისას ობლიგაციების გაყიდვის შუამდგომლობა შეაჩერა ხელში.

სამი დღის შემდეგ ფიქვით საქმეთა მმართველს „დაეკარგა“ კოფერკოტის კოსტიუმი. ბინიდან „წაიღეს“.

ხოლო სულ მალე, შემანქანე ჭლისგან გავიგონეთ, რომ ახალ შეკერილი ლაქის ტუფლები აცალეს ტრამვაის ვაგონში.

— დამე იყო და ვაგონში ასვლისას წამოძვრეს ფეხებიდან სანამდის მიდის ჯიბეების თავხედობა, — გაკვირვებით ამბობდა ქალი.

— ეგ რა არი, — ჩაერია მეორე შემანქანე, — წუხელ აღუღებულა სამოვარი მოგვპარეს...

— ნულარ იტყვიო, აწუწუნდა რეგისტრატორი, გუშინ დღითი ბაზარში ვიყავი და დაკლული ინდაური ამოხაცალეს ჯიბიდან... უკაცრავად, კალათიდან...

ანტიფოს მეტი აღარ უნდოდა. იგი მარ-

ჯვნივ და მარცხნივ არიგებდა შუამდგომლობებს.

დარჩა შიკრიკი და დამლაგებელი, რომელთაც არაფერი დაჰკარგიათ და მამსადამე, არც ობლიგაციები გაუყიდიათ. ამასობაში ანტიფომ გაფრთხილება მიიღო, რომ წამდაუწუმ ობლიგაციების გაყიდვა არ შეიძლება.

სწორედ მეორე დღეს შიკრიკმა განაცხადა რომ მამა მოუკვდა და მოითხოვა ობლიგაციების დაგირავება.

— ამას ვერ დავიჯერებ! — მკვხედ განაცხადა ანტიფომ.

— რას ვერ დაიჯერებ კაცო, გაზეთშია!

— რა უყოთ რომ გაზეთშია, რა დროს სიკვდილია... ობლიგაციების დაგირავებას მე ვერ დაუშვებ. მაგას სხვები გაიგებენ და თითო მამა ყველას მოუკვდება! პროლეტარული ელემენტი ხარ, ისიც დაწინაურებული სახ. კრედიტების როლი ხომ გესმის...

შიკრიკი არ დაკამყოფილა ამ განმარტებამ და საკითხი ზემდგომ ორგანოში დასვა.

ახლა ანტიფო მოხსნილია თავმჯდომარეობიდან. მისი სახელი შეეღვას ამშვენებს.

ალღარ-ალღარსან.

ს ა ლ ა თ ა ს კ ი ლ ი

ნახ. ქოქიაშვილის.



— რა ამბავია, რომ შარბაზანი, ბარაზანი და ათასი დავიდარაბა მღვტიანიათ?

— გვინდა გავაღვიძოთ ჩვენი კაც შირის თავმჯდომარე; სესხზე ხელისმორწრა თავდება და ეს კი ისევ ძიღს განაგრძობს

— ამაოა ცდა. მასეთი საშუალებები ჩვენ არა ერთხელ ვიხმარეთ, მაგრამ მაინც ვერ გავაღვიძეთ.



— „ნიანგო, გვეწვიე! ნიანგო, გვი-
ნახულე! ნიანგო, შემოგვიარე! ნიან-
გო, დაგვხედე!“ — აუარებელი ასე-
თი მიწვევის წერილები მოსდის ნი-
ანგს საქართველოს ყოველი კუთხი-
დან.

მათი უყურადღებო დატოვება ნი-
შნავდა ნიანგისაგან მასებზე მოწყვე-
ტას. ეს უკანასკნელი გარემოება კი
ნიშნავს ცხოვრებისაგან ვარიყვას.

ვინაიდან გაზაფხული მეტად ცუ-
დი ამინდებით დაიწყო და დამთავ-
რდა, ამიტომ გამგზავრების სისრუ-
ლემი მოყვანა შესაძლებელი შეიქნა
მხოლოდ ამ დოიებში, ე. ი. ივნისის
უკანასკნელ რიცხვებში, როდესაც
ცოტათი გამორიდაო.

მართოდ ხეტილი მოსაწყყენია რო-
გორც ადამიანისათვის, ისე ცხოვე-
ლისათვისაც; ამიტომ მთხოვა ნიანგმა
გაეყოლოდი მას. ჭკუამოკლე ვიქნე-
ბოდი, რომ არ მესარგებლა ასეთი
შემთხვევით.

მიმართულება ავიღეთ კახეთისაკენ.
მართალია, აქეთ მოგზაურობა შემო-
დგომაზე ჯობია, მაგრამ ვინაც იცის
ტკბილად დაყენებული საფერავის
გემო, ის ზაფხოლოშიდაც არ იტყვის
უარს, კახეთში წასვლაზე.

ცხადია, ჩვენი მოგზაურობა იუმო-
რისტული უნდა ყოფილიყო, მარა
იუმორს გეო არ ექნება, თუ მას ხან-
დახან ზედ სატირალიც არ დაერთვის.

ხომ გახსოვთ რომელიღაც მგონის
სიტყვები: „ჯერ მწარე სჭამე,
ყვლავე ტკბილი, თუ ეძებ გემოვნება-
სა“.

არაფერი სასიამოვნო გემოვნება
იქნება, თუ მწარე სუფრის და ტკბი-
ლი კი ჩაის კოვზით მიირთვით!

ამ მგონის სიტყვების მიხედვით
ჩვენც სიმწარით დავიწყეთ.

მკითხველი, ალბათ, თითონ მიხვ-
და, რომ ეს იწინიბოდა ჯერ ქალაქის
და შემდეგ რკინის გზის სადგურზე
ბილეთების შეძენა. აქ თითქმის ყვე-
ლაფერი იმისათვის არის მოწყობი-
ლი, რომ მგზავრმა რაც შეიძლება მე-
ტი ღრო, მოთმენა და ჯიბიდან ფუ-
ლი დაჰკარგოს!

ბილეთის ღირებულება საზოგა-
დოდ განისაზღვრება მანძილით. მა-
რა კახეთის რკინის გზის ბილეთის სა-
ფასურიდან არ არის გამოქვითული
ის ორი კილომეტრი მანძილი, რომე-
ლიც მგზავრმა თიხით უნდა გაიაროს
სადგურიდან ბაქანზე მატარებლის
შემადგენლობამდე.

კახეთის გზაზე სულ ორი წყვილი
მატარებელი დადის დღე-ღამეში.
მიუხედავად ლინდაგების ასეთი თა-
ვისუფლებისა, საგარეჯოს სადგურ-
ზე მაინც მთელი საათი მოგვიხდა
დგომა შემხვედრი მატარებლის მო-
ლოდინში.

ამ როგად თბილისიდან წნორის-
წყალამდე დაგვიქრდა შვიდი საათი
ღრო. მანძილი კი იაბა დაახლოვე-
ბით ასოცი კილომეტრი. თვრამეტი
კილომეტრი საათში საშუალოთ-

ასეთი ტემპით კახეთის რკინის
გზა დაეწევა და გაუსწრებს მხოლოდ
...ქიზიყელ ვირს!

სამაგიეროდ თვით წნორის-წყა-
ლის ჩქარი ტემპი არის ნამდვილი
ბოლშევიკური! თუმცა წნორის წყა-
ლი დაშორებულია ქალაქ სოფლის
თუთხმეტი კილომეტრი შემოსარები
გზის მანძილით, მარა მას აურჩევია
უფრო მოკლე გზა და ამ გზით ეწი-
წება ზემოდან ქვემოდ ქალაქ სილ-
ნალს!

კახეთის რკინის გზის ნელ ტემპს
ჰვარავს აგრეთვე „საქართველოს
ნავთის“ მიერ ახლად ვაკეთებული
გზატკეცილი წნორის-წყლიდან წი-
თელ-წყარომდე, რომელზედაც ჩვენი
„ბენცი“ თოვას საათში ოთხმოცდა-
ათ კილომეტრს.

მაგრამ თვით წითელ - წყაროში
კი ნურას უკაცრავად! ერთი ქმენით
და ვაი - ვაგლახით გავატარა მან
გზატკეცილიდან სოფლამდე ნახევარ-
ი კილომეტრი მანძილი ნახევარ სა-
ათში!

ვინაიდან „საქართველოს ნავთს“
გაუჩაღებია წითელ - წყაროში ნავ-

თის დახმარე წარმოებების მუშაობა
ჩქარი ტემპით, ამიტომ ადგილობრი-
ვი საბჭოს ხელმძღვანელებს ზედმე-
ტად მიუჩნევიათ თავიანთი მუშაობის
ტემპების პარალელურად ვადვივე-
ბა.

ვინაიდან ბუნება ვერ ითმენს ცა-
რიელ ადგილს, ამიტომ წითელ-წყა-
როს საბჭოს შერობაში მერცხლებს
გაუკეთებიათ ბუდეები.


პრეზიდენტის ადგილას ერთი სკამი
გდია, რომელიც სირცხვილის გამო
გაიქცეოდა სადმე, რომ ფეხები არ
ჰქონდეს მომტვრეული!

გავსწიეთ მირზაანისაკენ იმის შე-
სამოწმებლათ, — მართლა არის იქ
ნავთის ჭაბურღილები და რაიმე ნი-
შანწყალი ნავთის, თუ ეს ბალშევი-
კების მიერ გამოვონებული ზოპა-
რია, — როგორც ამას მენშევიკები
ჩურჩულებენ.

ვინახეთ, მარა რა ვნახეთ! რამდენი-
მე ჭაბურღილში ნავთის წყაროები
ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ამოხე-
თქონ და ამოასხან შადრევანები, მა-
რა მათ ტემპებს ძალით აჩერებენ,
ვინაიდან მისაღებათ ვერ არიან მზათ.

დედამიწის წიაღსაც ჩასწლოვია
ბალშევიკური ტემპები და სოციალი-
სტური შეჯიბრი გამოუყვანდებია
ზედაპირზე ველი!.. რამდენი რამ ით-
ქმის ამ თვალუწვდენელ ველზე, მა-
რა ეს ფრიალ სერიოზული საკითხია
და ვინაიდან ჩვენ არ გვეხერხება სა-
ქმისადმი დინჯათ მიდგომა, ამიტომ
სიტყვას უთმობთ საბჭოთა მამულე-
ბის ხელმძღვანელს სევა კუხალეი-
შვილს და ზემოქედის კოლომეურ-
ნებს, რომლებსაც აქ სერიოზულათ
მოუკიდნიათ საქმისათვის ხელი და
ნაყოფასც შესაფერის მიიღებენ.

ჩვენ კი აღებული ჩქარი ტემპით
გავეჭურებით გურჯაან - თელავის
გზით ალაზნის ვალმა მხარეში, სა-
დაც მივადრწვთ შემდეგ ნომირში.



„დივლი-დელაღი“

(სამსტრადო)

დივლი — დალაღი, დალაღი,
დივლი — დალაღი...

გადატრიალდა ქვეყანა,
ო, რა რიგ მალეო:

გლები გიგანტურ ნაბიჯს სდგამს,
ძლივს მოჩანჩაღიო,

სანამ სხვისი ფური იყო,
საწველ — საღაღიო...

თავი შეგირცხვეს, წარსულო,
ბევრი აწვალეო!..

ჩაც მან საჩხო მოიწია,
შენ მიითვალეო,

სანამის არ ჩაპირქვევდი,
არ მიიცვალეო...

მემამულეს მხარში ეღდა
ჩარჩი — მევალეო;

ჩაფართან არ გასდიოდა —
„ცოტა მაცალეო“...

ჭრელი მათრახით უხელდა
ხურგს მალი—მალეო...

მოჰყვებოდა ხუცესს მნათე,
მის მოჩანჩაღიო;

„საკვდავი“ თუ „სანათლავი“
მოიტა მალეო!

დივლი—დალაღი, დალაღი,
დივლი—დალაღი...

ათას ცხრას ექვსში მოხდა
ეს საეღალეო!..

ათას ცხრას ჩვიდმეტის მხეც
გამოჩნდა მალეო:

ერთის დაკვრით ჩამოგზორდა,
ჩაც რომ ეწვალეო!

თუმც ინდომა ბევრმა შენთვის
დაეწმო „ხვალეო“:

მენშევიკი ხურგს მოგაჯდა,
ის შესაბრაღეო,

მაგრამ აღსდგა პროლეტარი,
მას ვენაცვალეო!

აროშა აღმართა,
ჩაქუჩ-ნამგალეო!..

მოაწია ოცდა ერთი ცუ
კარგათ დათვალეო:

აფი წელი ეცადე და
გამოიცვალეო:

ბატონი თუ უდიერი
სოფლით გაღალეო,

კოლექტივები დაიდგი,
კერძო შესცვალეო,

აგუფუნე ტრაქტორი,
წიწა აშალეო,

სახლვარის თუ შიჯის კვალი
ყველგან წაშალეო,

სოცმეჯიბრი, დამკვერელობა
მედგრათ გაშალეო,

სოციალისტური სესხი
მას მიაშველეო.

ყოფნის ჩარხს რომ ხელი სტაცე,
დაატრიალეო:

დუშმანი და ქვეყნის ურგი
გაატრიალეო!..

სხვა ქვეყნებშიც ბრძოლის დროშა
ააფრიაღეო...

დივლი—დალაღი, დალაღი,
დივლი—დალაღი...

სესხმა გადაარჩინა

ამბაო წუწუნაშვილი წუწუნობდა:

— სწორედ ჩემ სახატაბლოთ მოითხოვეს
ამ ოჯახქორმა მუშებმა გადამწყვეტი წლის
სესხი, აყვა ბატონო მთავრობაც და ე, უკვე
ხელისმოწერის კამპანია გამოატყვირეს.

— მერე რა?
— რა და ის, რომ ავტო ბიულეტენი ჩი-
ვივდებ ხელში დასასვენებელ სახლში ვაპი-
რებდი წასვლას. ახლა აქანა აღვინე წუწუნა
შვილი საკონტ. ციფრ. ჩამოკაცლე რამ-
დენი მუშა მუშაობს ქარხანაში, გაყავი მა-
თი თვითური ხელფასი და ათასი წვრილობანი...

მაგას ვარდა, სადაა ბატონო გასასესხებელი
ფულბი? ჯერ მარტო აბასთუმანში რამდენ-
ნი დამპირდება, მერე ჭობულეთის ბიულე-
ტენს გამოვაწყობ, შემდეგ შეიძლება კახეთ-
ში წავიდე ამდენი ხარჯების გააწყვეც კიდევ
მოეთხოვება სესხზე ხელისმოწერა?

— ცუდათ გქონიათ შგნებული ხელის
შემწყობ კომისიის წევრის მოვალეობა ამხ.
წუწუნაშვილი, ასე მხოლოდ მემარჯვენე
ოპორტუნისტს შეუძლია იტიკვიოს. სესხი
მუშების დაუნებებით მოთხოვნილებით გა-
მოუშვა მთავრობამ და მის გავრცელებაში
თქვენი რეცეპტიც არ დასჭირდებათ, მუშე-
ბი თვითონ გაავრცელებენ. მკვებედ მიახალა
დაზგაძემ.

დაიწყო ხელისმოწერის ათღლიური. იმ
ქარხანაში, სადაც წუწუნაშვილი მუშაობდა
მიიღეს საკონტროლო ციფრი—30.000 მანე-
თი.

წუწუნაშვილმა თვალბი სქიკა.

— ბატონო, რა დღეარავს ამხელა ციფრს,
ალარ იბრაღებენ ხალხს?

მაგრამ წუწუნაშვილის გაოცება უკვე რა-
ღაც დაბნედილობად გადაიქცა, როცა გაისმა
მუშების ერთსულოვანი მოთხოვნილება:

— საკონტროლო ციფრს შეთავადი გეგ-
მით გზრდით 50.000 მანეთით, წინადადება
შემომბეჭდეს ხელი მოგაწეროთ თვე-ნახევრის
ხელფასზე და დავფართოთ ექვს თვეში.
თითების ტყემ ერთხმად გადასწყვიტა ეს
საკითხი.

— ერთი სიტყვა ამხანაგებო:—ამეტყველ-
და წუწუნაშვილი,—მე გგონია, რომე ამხელა
თანხის დავფარვა გავგიძნელებდა ექვს თვე-
ში, ჩემი წინადადება სამი კვირის ხელფასი.
—ათი თვის ვადით.

— ეს საკითხი გადაწყდა ამხანაგო—მუშე-
ბის ერთსულოვანი მოთხოვნილებით თქვენ
სესხის ხელისშემწყობ კომისიის წევრი ხარო,
გთხოვთ ხელს ნუ გვიშლით!

— ხელს ვაწერ ორი თვის ხელფასზე და
ვიწვევ ამხ. ტემბაძეს—განაცხადა დამკვერელ
მა დაზგაძემ.

— მეც თქვენთანა ვარ, ამხანაგებო!
— არც მე დამივიწყოთ!—ისმოდა განუ-
წყვეტილვ ყვილა კუთხიდან.

შემხვედრი გეგმაც გადაქარბებით დაი-
ფარა.

კრება აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს, მაგ-
რამ, როცა ოქმების შესადგენად წუწუნაშ-
ვილი მოიკითხეს, ის ალარ აღმოჩნდა მის მა-
გიდაზე მხოლოდ მოკლე ბარათი იღო:

„მე დავრწმუნდი, რომ მუშების ენტუზი-
აში დაუძლეველი ძალაა, რომელიც გადა-
ლახავს ყველა დაბრკოლებას. მათი მოქმე-
დებიდან დავრწმუნდი, რომ გადამწყვეტი
წლის სესხი მართლაც სოციალისტების მშენებ-
ლობის კირი და აგური ყოფილა, რომ ამ
სესხის გამარჯვება ხუთწლეულის გამარჯვე-
ბაა. კარგ მაგალითს ყველა გონიერმა უნდა
მიბაძოს, ამიტომ მეც ხელს ვაწერ ორი თვის
ხელფასზე, მაგრამ კრებაზე დარჩენისა მცხვე
ნან, რადგან ხელს ვაწერ ორი თვის ხელფასზე
ხელს უშლიდი სესხის გავრცელებას. ვხევ
„გამოწყობილ“ ბიულეტენს და გთხოვთ
საშუალება მომცეთ ჩავდებ დამკვერელთა
რიგებში“.

სესხი და ოპორტუნისტ

ოპორტუნისტ ქაქანაძეს
აუფარდა თავში სისხლი,

როცა ხედავს გამოვიდა
გადამწყვეტი წელის სესხი.

როლო ვქნაო, — გაიფიქრა,—
დამპირდება თავის მტკრევა

ამოდენა ნეტავ ფული
რა ჯიბეში ჩაეტევა.

იძახის და კვენისი, ოხრავს
ფულზე მუშტა იბრაგუნებს

ფიქრობს: მოხდეს სასწაული
რაც სესხს უკან შეაბრუნებს.

მაგრამ არა... სასწაულზე
განაცხადა ღმერთმა უარი,

და ამიტომ ქაქანაძეს
დაეცემა თავზე ხარი.

ბოლოს იტყენს თავს და ყბებსაც
შინისკენ პირს იბრუნებს,

რადგან ძველი ციება და
გრები ერთად შეაბრუნებს.

— ვინდა არის ხელმძღვანელი
გავრცელოს სესხი ეხლა

სიძველედ და გასაქირი
ყველა ერთად ჩაიფერვლა!

ასე მსჯელობს ქაქანაძე,
დაამწვიდა თავი ამით,

მაგრამ როცა გამოვიდა
თეატრიდან იგი ღამით

წინ შეხვდება ფათერაკად —
ერთი მუშა მის ნაცობი

და მიახლის გულმოსულად:
— ქაქანაძე აქ რას შობი?

ცოცხალმკვდარი დაბრუნდება
ქაქანაძე როცა სახლში

ფიქრობს: — კაცმა თავმომწონემ
რა უნდა ჰქნას ასეთ ხალხში?

შემდეგ ჩაჯდა გაბრაზებით
შეადგინა მან ბრძანება:

— მე გიბრძანებთ, ასე მინდა
ასეთია ჩემი ნება.

არა ნაკლებ ოთხი თვისა
მოაწეროთ სესხზე ხელი.

მე ხომ თქვენი უფროსი ვარ,
ჩემს ხელშია ყველაფერი!

— რა რომ ნახეს ეს მუშებმა
გაცინათ ერთად ყველას

ადგილკომის თავმჯდომარემ
ამით თავი „ისახელა“.

და სთქვეს: მაგი არამზადა
მოყვარეა, თუ მტერია

„რა უთქვამს რა მოუჩინახეს,
რა წიგნი მოუწერია“.

ამის შემდეგ ქაქანაძეს
ღღე დაუღდა აღსასრულის;

ვეღარ გასჭრა ვერაფერმა —
დამარცხება იყო სრული;

თუმცა სესხი ქაოხანაში
გავრცელებს უფრო კარგად,

რადგან „საქმეს“ ქაქანაძის
აეხალა უკვე ფარდა.

ფინიხი

4

საქ. მწერალთა ფედერაციის „მკვდარი სულები“-ს დასაფლავება

— ნახ. მ. ჭიაურელის.



მ იენისს, საღამოს 6 საათზე რე-დაქციის ბინაზე მოწვეულია ახალგაზრდა მხატვრების და ლიტერატურულ წრის მსმენელთა საერთო კრება. კრების შემდეგ — სტამბის დათვალიერება. დასწრება სავალდებულოა.



ამს. ნიანგის დავალებით ძველ-კენაკში გავემგზავრე ა.კ. მელორეობის საცდელ სადგურის დასათვლი-ერებლად.

— ჩვენ, ღორები, ყველგან და ყოველთვის აბუჩად აგდებული ვიყავით. მართალია, ჩვენს გემრიელ ხორცს მადაიანად შეექცევიან, მაგრამ თვით ჩვენ მორიდება და პატივი არასოდეს გვქონია! — დამიწყო ლაპარაკი ერთმა ღორმა, რომელსაც ყურადღებით უსმენდა დამშეული ღორები.

„დაბადებაში“ სწერია, — განაგრძო მოსაუბრე ღორმა:

„...და ღორი, რამეთუ აღმოიკვნის, და ქლიკი მისი არა განპებულ არს, არა არს ესე წმინდა და ხორცი მისი არა სჯამოთ“ (იხ. ბიბლია, ლევიტელთა მიმართ, გვ. 214, 1884 წლის გამოცემა), — ასე გვახსიათებს ჩვენ უძველესი ხანა.

ხელოვნების არც ერთ დარგში ჩვენ არ გვქონია არასოდეს ცოტათ თუ ბევრად ღირსეული ადგილი. ცხენს, ხარს, ძროხას, ძალს წარმოიდგინეთ თქვენ, ვირსაც კი პატივს სცემდნენ ხელოვანნი თავიანთ ნაწარმოებებში. ჩვენ კი არავის ვახსოვდით.

ცხოველების ისეთი მოყვასი, როგორიც კრილოვი იყო, ისიც კი არსად გვისხენიებს პატიოსნად.

აღამიანებში ვინც არის გაუმადლარი, უზრდელი, ხარბი, მსუქანი, უსუფთაო და სხვა ასეთი, ჩვენს სახელს ეძახიან — ღორი ხარო.

მაგრამ დღეს ჩვენში სრულიად პირუტყვს შეიცვალა შეხედულება ჩვენზე. ჩვენი სახელი, ღორი, დღეს არ არის დაცინვის სინონიმი. ჩვენ უნდა შევანელოთ ხორცის, ქონის, საპნისა და სხვა ასეთის ნაკლებობა. ჩვენ საპატიო როლი და მძიმე მოვალეობა გვაქვს დაკისრებული „ხუთწლედის ოთხ წელში“ შესრულებაში. ჩვენ ამას კიდევ შევასრულებდით ღირსეულად, რომ „ღორულად“ არ გვექცეოდნენ. აღარ ვიცო, ჩვენ ვართ ღორები,

თუ ისინი, ვინც ჩვენს „მზრუნველებად“ ითვლებიან.

— კმარა მოთმენა. — წამოიძახა მეორე ღორმა. — გახედეთ! — და ფეხი გამიშვირა გადათხრილ მინდვრისაკენ. — ჩვენივე ღინგებით გვათხრე-ვინებენ ჩვენს საფლავს. გავანილა ასეთი საშინელება?

— ნუ ღელავ, დამშვიდიდი! — დამშვიდა მოსაუბრე ღორმა — პირველ ხანებში, როცა ასე უყურადღებო ბასა და უპატრონობას იჩენდნენ ჩვენს მიმართ, ვფიქრობდით — ზოგიერთები — ალბად მაჰმადიანები არიან ჩვენი ადმინისტრატორები, რომ არ ვებრალებით და გვხოცავსო. მაგრამ ჩვენს შვილებს, გოჭებს ჩვენს თვალის წინ ჰკლავდნენ, მიირთმევდნენ და ზედ ღვინოსაც ბლომად აყოლებდნენ.

— ჩვენ, ღრებს, გვეძახიან ბინძურებს, ერთი შეხედვით თქვენი ქირიმე, მთელი სადგური როგორ უსუფთაობაში იხრჩობა! — ალაპარაკდა ერთი მომაკვდავი ღორი.

უცბად უცნაური ხმაური შეიქნა.

— რა ამბავია? — ვიკითხე. — ის ამბავია, რომ ერთადერთი ეტლი ჰყავთ. ხარები, ცხენები, კამეჩები გახელებულნი არიან დასვენებისაგან და თხოულობენ — ეტლში შეგვაბი, თორემ დასვენებისაგან გადავირცვივითო.

— ნუ თუ სამუშაო არ არის, რომ ამუშავონ ეს საქონელი? ერთ კვირას ამ ნაგვის გადატანა ეყოფათ სამუშაოთ.

— ურემი არა აქვთ და რით გადაიტანონ?

— ვერ იყიდეს? — მაგისტვის ფულს ვინ გაიმეტებს! — ფული საათებში დახარჯეს. ყოველ კუთხეში ძვირფასი საათები ჩამოჰკიდეს, რომ მეტი არ იმუშავონ სასიეროთ თავის დროზე წავიდნენ და...

— და, დაუმატა მეორე ღორმა, — რომ გაიგონ, რამდენ ხანს არ ამოხდება სული სიმშლისაგან მომაკვდავ ღორს.

— რატომ არ მიმართავთ ღირე-

მომავალი

ქტორს? — იყო ჩემი უკანასკელი შეკითხვა.

— ყურიდან ყურში მგონი ნატახტარის წყალსადენის მილი აქვს გაყვანილი და რასაც ვეტყვით ყურიდან ყურში უშვებს!

ამის შემდეგ სადგურის მესვეურნი ვინახულე.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ დირექტორს, აგრონომებს და ზოოტექნიკებს არ სწყენიათ ჩემი მისვლა.

— სადგური მართლაც დიდებული გვაქვს. თუ ღმერთმა ჰქნა და ჩვენი საქმე ასე წავიდა, დიდი მიღწევები გვექნება ხუთწლედის ბოლოსათვის. — დამიწყო მდგომარეობის გაცნობა დირექტორმა.

— მაინც რაში გამოიხატება თქვენი მიღწევები?

— იმაში, რომ — ჩამოგვერია უცბად ლაპარაკში ბრიგადელი, — თვითურად 40 ღორზე მეტი არ გვენოცება: ორი თვის განმავლობაში ორას ღორიდან ასოცი დაგვრჩა. და თუ ასეთი ტემპებით წავიდა საქმე, წარმოიდგინეთ თქვენ ხუთი წლის განმავლობაში (12 თვე გამრავლებული ხუთ წელზე და კიდევ გამრავლებული 40 ღორზე) 2.400 ღორი. ეს ციფრი არც ისე ხელწამოსაკრავია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

— რატომ იხოცება თვითურად ამდენი ღორი?

— ცუდი ჯიშის არიან. თუ საქმელი არ აქამეთ და არ მოუარეთ, იხოცებიან! — თავი „იმართლა“ დირექტორმა ბრიგადელის დაცინვისაგან.

— თქვენ მიწის მეურნეობასაც ეწვევით? — შევეკითხე ღორების მიერ გადათხრილ მინდორის შესახებ.

— ოო, დიდი კულტურული ღორები გვყავს ჩვენ! — წამოიძახა ვიღაც შეზარხოშებულმა, რომელიც ეტყობოდა, აქ მომუშავე „სპეცია“ იყო.

როგორ იცვალა ეფროსინემ პოზიცია

— კიდევ წაიკითხე, ელიკო, იქნება გეშლება?

— „ხელს ვაწერ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თვენახევრის ჯამაგირის რაოდენობით და ვიწმეშ“...

— არა, ბოლოში წაიკითხე, — გააჩერა ეფროსინემ თავისი ქალიშვილი. — მართლა მამა შენი აწერს ხელს?

— ჩითან სუთიძე, ჩითან სუთიძე, ჩითან.. ჩითან.. მამაჩემია აბა ვინ არის, გულმოსულმა ელიკომ ხმას აუმაღლა, მიუგდო გაზეთი დედას და გაიქცა ეზოში ბაგშებთან სათამაშოდ.

ჭარხალივით გაწითლებული ეფროსინე შევარდა სამხარეთლოში, სადაც მეზობელ ქალებს სარეცხი გაემართათ და ატყდა:

— მოდი იცხოვრე ამისთანა ქმართან... გუშინ გადავყევი „მოდინი“ კრებულშინა მოსული და მიყიდე — მეთქი. სიკვდილი იღირსა და არ ქნა.. დღეს თვენახევრის ჯამაგირს სესხად აძლევს სახელმწიფოს? მოვიდეს და წემობედლოს სახლში. სხვებს იწვევს ცადვე!

— დიდი მეტიჩარა კი ყოფილა სწორედ, — ჩაულაპარაკა მეზობელმა ქალმა, ნახევრად გაქალაჩებულმა, მაგრამ ჯერ კიდევ გაუთხოვარმა სხვადასხვა მიზეზებით.

— „დურაქია“, ბატონო, „დურაქია“, მაგასთან ვიცხოვრებ გონია“?, არ მოგიკვდეს ეფროსინე მოვიდეს ერთი!

მოვიდა ჩითან სახლში. ასტყდა კორიანტელი. ეფროსინემ გადაჭრით დასვა საკითხი „რაზვოდის“ შეახებ. ქმარი დიდხანს ღმობიერად და დინჯად უხსნიდა ეფროსინეს, რომ ყოველი მშრომელი მოვალეა მხარში ამოუდგეს თავის საკუთარ სახელმწიფოს, რომ თვითული გროში, რომელსაც მშრომელი გაიღებს თავის სახელმწიფოს დასახმარებლად ათ და ას წილად უკანვე დაუბრუნდება მასვე. რომ სახელმწიფოს მოლონიერება, მისივე მოლონიერებაა, რომ აუცილებელია უცხოეთის ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა და სხვა, მაგრამ კრებულშინის ისეთი მძლავრი „არგუმენტი“ იყო ეფროსინესთვის, რომ ჩი-

თანის თვითული დებულება უმოწყალოდ იმსხვრეოდა მასზე.

— და თუ ეს წვრილმანი შეიძლება გახდეს ჩვენი განზორების საბაბი, დეე, ასე იყოს.

ასეთი სერიოზულობით თქმულმა სიტყვამ ეფროსინე ცოტა არ იყოს შეაშინა. „რაზვოდზე“ უკლო ლაპარაკს, მაგრამ სხვაგვარად ათასნაირი „ბლოკადით“ ემუქრებოდა თავის ქმარს.

თვეები გადიოდნენ. ეფროსინეს გულიდან არ აღმოფხვრილა იმის ჯაგრი, რომ მისმა ქმარმა თვენახევრის ჯამაგირი სახელმწიფოს ასესხა. ყოველ წვრილმანში გამოსჭვივოდა ეფროსინეს უკმაყოფილება, მაგრამ ჩითანი შეეჩვია ცოლის ასეთ წუწუნს და ხშირად უყურადღებოდაც სტოვებდა მას. ჩითანის ობლიგაციას ხვდა მოგება ათასი მანეთის რაოდენობით. ეფროსინემ ფერი იცვალა, ეფროსინეს ვეღარ იცნობდით.

— ნეტა ჩემს ქალიშვილს შენგებობდეს ჩემი ქმარისთანა ჭკვიანი და დაკვირვებული კაცი. ყველაფრამდე სავსე: ზნეობით, პატიოსნებით, ოჯახის გულშემატკივრობით, სახელმწიფოს ინტერესებით... მართლა და როგორ ფიქრობთ, სახელმწიფო ჰაერით ხომ ვერ იარსებებს, თვითონვე ჩვენ თუ არ შევინახეთ. ჩვენი მთავრობაა, ჩვენვე უნდა ვედგეთ მხარში... აბა, რაფა გინდა! — ლაპარაკობდა ეფროსინე თავის მეზობლებში.


და დღეს, როცა მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნით, სახელმწიფო მესამე გადამწყვეტი წლის სესხს უშვებს, ეფროსინე თვითონ ეუბნება თავის ქმარს — არავის ჩამორჩეს, არ დარჩეს უობლივაციით.

ჩითანს ეცინება ულვაშებში. ახსოვს კრებულშინი, როგორც „არგუმენტი“.

სევეირ-ბენ-შეის.

მ უ შ კ ო ო პ შ ი

ნახ. ტაბატაძის.



მუშკობის ზოგიერთ მუშაკთა დაუდევრობა იქამდე მიდის, რომ თევზს ალპობენ და შემდეგ ჰყიდიან:

მუშტარი: — რაშია საქმე, რომ ეს დამპალი თევზი არ გამოილია.
მეორე მუშტარი: — ჩვენი ბრალია, როცა სხვა თევზზე დაგვიწონენ, ნუ დავსტოვებთ აქ, წავიღოთ და თვითონ ჩვენ გადავყაროთ.
ნოქარი: — თქვენ ცდებით მოქალაქე; ჩვენ არ გვჭირია თქვენი ნაყიდი დამპალი თევზი; ისედაც ბევრი გვაქვს!

კირკიტაჰის „თვითკრიტიკა“



ლადო კირტიკაძე ვერ მოისვენებს, რომ სხვა არ აძვლოს, არ გაქირდოს, სხვისი დამცირება მას „ფეხებზე ჰკიდია“.

— სულელია, ტუტუტია... არაფერი მას არ გაეგება, მან რომ იცის იმდენი ვიცოდი და დამაიწყადა! ხშირად გაიგონებთ მისგან.

სამაგიეროთ ის თავის თავზე დიდი წარმოდგენის არის.

— ეს მე გავაკეთე... ჩემი პოზიცია სწორია, ჩემგან უნდა ისწავლოთ! გაიძახის ის. პარტიაში კირტიკაძე 1921 წელს შემძვრა და მაშინვე „უკლონისტობა“ დაუწვია, შემდეგ ოპოზიციონერი გამხდარა და პარტიდანაც გამოუვადიათ.

პარტიაში აღდგენა არა ერთხელ სცადა მან, მაგრამ ვერ მოახერხა.

ამ ბოლო დრომდის კირტიკაძე ერთ-ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობდა, რომლის გამგე იყო ძველი ბოლშევიკი ანდრო მინდოშვილი, რომელსაც კომუნისტურ ნებისყოფა ახასიათებდა.

მოუფიქრებლად და გაუზომელათ არაფერს იტყოდა.

რასაც გაზომავდა, გასკრიდა კიდევ, თვითკრიტიკას ფართო გასაველს აძლევდა.

— ვინ იცის, კაცი ვარ, შეიძლება ვცდებოდე, იტყოდა ის და ისმენდა სხვების აზრს ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

— ამხანაგებო, არ მომერიდოთ, თუ რამე შეცდომა ნახოთ ჩემს მუშაობაში, მითხარით პირდაპირ! ეუბნებოდა იგი ადგილკომისა და კომუჯრედის წევრებს.

კირტიკაძეს კი თვითკრიტიკა თავისებურად ესმოდა.

მას სიგართით კრიტიკა უფრო ეხერხებოდა, ვიდრე საქმის გაკეთება.

კირტიკაძე და მისი „ამყოლნი“ მზადებაში იყვნენ, — პარტის წმენდა იწყებოდა და საჭირო იყო ანდრო მინდოშვილის წინააღმდეგ დარაზმება.

— აბა, თქვენ იცით, ამ წმენდით უნდა ვისარგებლოთ და დავცხოვროთ მინდოშვილს! — ეუბნებოდა ის იმით, რომლებიც მის „ფეხის ხმას“ აყოლოდნენ.

წმენდის წინ მინდოშვილმა ვრცელი მოხსენება გააკეთა. მან აღნიშნა, როგორც მიღწევები, ისე დეფექტებიც და გამოთქვა ის აზრი, რომ დეფექტების გამოსწორება შეუძლებელია მხოლოდ საღ თვითკრიტიკის ნიშნად.

მოხსენების გარეშე გაიმართა კამათი. გარდა კირტიკაძისა და მისი მომხრეების ყველა ერთსა და იმავეს აღნიშნავდნენ, რომ მიღწევებთან ერთად იყო ზოგიერთი დეფექტები, რომელთა გამოსწორება შეიძლებოდა მომავალში.

კირტიკაძემ და მისმა მომხრეებმა მიღწევას გვერდით აუხვიეს და გაზვიადებულ და შეთხზულ დეფექტებზე „კორიანტილი ააყენეს“.

კირტიკაძემ, მისი აზრით, „ტყუავი გააძრო“ მინდოშვილს.

— ამხანაგებო! ჩვენი დაწესებულება უფსკრულის პირად დგას, უნდა ვუშველოთ მას, საჭიროა თვითკრიტიკის გაშლა, რასაც ჩვენ აქ მოკლებული ვართ. ამხანაგი მინდოშვილი მხოლოდ სიტყვით არის თვითკრიტიკის მომხრე, საქმით კი წინააღმდეგია. ხომ მართალია, ამხანაგებო! — მიმართა მან თავის მომხრეებს.

— მართალია, მართალია! — გაისმა ხმა. — არ არის მართალი, სტყუით თქვენ! — იგორილა დარაზმება.

— ამხანაგო კირტიკაძე! შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ რამდენიმე ფაქტი ამხ. მინდოშვილის მიერ თვითკრიტიკის დღენის შესახებ? — შეეკითხა მას გამწმენდ კომისიის თავმჯდომარე.

— რამდენიც გნებავთ! — რიხიანათ უპასუხა მას კირტიკაძემ და ფაქტების ჩამოთვლა დაიწყო.

პირველი ფაქტი: მან ვერ გამოიყენა რაციონალურად ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო სპეცი ამხანაგი ზურაბიშვილი.

(მეორე: მან დააწინაურა მუშა ბროსეშვილი, რომელსაც შესაფერი თეორიული ცოდნა არ ვაჩნია.

მესამე: მან ჯამაგირი მოუმატა მხოლოდ დაბალ თანამშრომლებს და არა ყველას.

მეოთხე... —

— კმარა, — შეაწყვეტინა მას წმენდის კომისიის თავმჯდომარემ, — ამ ფაქტებითაც შეგვიძლება ვიცოდეთ თქვენი სახით ვისთან გვიქნება საქმე.


— ! —
წმენდა დასრულდა, რომლის შედეგი გამოქვეყნებული იქნა გაზეთებში.

არც ერთი ჰრალდება კირტიკაძის მიერ მინდოშვილის წინააღმდეგ წაყენებული არ დამტკიცდა.

კირტიკაძე და მისი მომხრეები „გაშიშვლდნენ“, — ათი „თვითკრიტიკა“ მიმართული იყო არა საქმის ინტერესებისაკენ, — მათ უნდადით მინდოშვილისათვის ჩირაქის მოცხება.

კირტიკაძე და მისი „ამყოლები“ წმენდის კომისიამ სამსახურიდან დაცოცხა, როგორც ცილის მწამებლები და ანტისაბჭოთა ელემენტები.

მასი.



ნახ. ქოქიაშვილის.

— ტყუილია, რომ ამბობენ თითქოს ამ დაწესებულებაში ბიუროკრატიზმია გამეფებულიო. როგორც კი მოველი ნაცნობმა თანამშრომელმა მაშინვე მომცა ცნობა.

თანამედროვე ტიპები

„ცილისწამება“

კაცს ქალარა გაერია. ოცდაათი წელის სტატი აქვს სამსახურის. უამრავ თანამშრომლებთან უმსახურნია და არვისთან მოსვლია უსიამოვნება. ზოგიერთები კიდევ ამბობენ მასზე: „თვალში რომ ჩაგივარდეს, ხელს არ ამოისცემ მისთანა კაცია“. ყველასთან ტკბილად არის, მაგრამ...

მაგარიც ეს არის, აპარატის წმენდაზე გამოაშკარავდა მისი უარყოფითი მხარეები. ბიუროკრატიზმისათვის პირველი კატეგორიით მოხსნეს.

უკვირს ეს „გაუფებრობა“ და „უსამართლობა“ და ბუზღუნებს.



— ჩემზე ამბობენ ბიუროკრატია? ეს ტყუილია! ათჯერ რომ შიშხას კაცმა, ერთხელაც კრინტს არ დაგხსრავ!

და ის კი არ იცის, რომ სწორედ ეს არის ბიუროკრატიაში. სწორედ ამისთვის მოხსნეს სამსახურიდან.


ტკბილი სიზმარი

ეს კაცი დღეს დილით არაჩვეულებრივ კარგ ხასიათზე ადგა. მიზეზი ამისა ის იყო, რომ წუხელის შემდეგ სიზმარი ნახა:

ღამით გვიან დაბრუნდა სახლში. ოთახიდან რაღაც ჩუმო ხმაური მოესმა. ფრთხილად შეაღო კარები და, ოი საშინელებზე! მის ცოლს ეხვევა და კონის ვილაც კაცი. ცოლი მორცხვობს, პასიურობას იჩენს. ქმარს სისხლი თავში აუფარდა. ჯიბეში ხელი იტაცა. პომბი ამოიღო და ის იყო უნდა აეფეთქებია ვერავი სიზმარი, რომ ამ უკანასკნელმა მის წინაშე დაეხმო, ფეხებზე შემოეხვეა და შეევედრა:

— მაპატიე, შემინდებ და რასაც დამავლებ ყველაფერს შეგისრულე!—და ცრემლიან თვალებით შეტედა ბოძმომარჯებულ მასპინძელს. შეხედა და, კიდევ ოი საშინელებზე! გამგე აღმოჩნდა. იცნეს ერთმანეთი. გამგე ამაყად წამოდგა.

მასპინძელმა ბოძში მოიხადა. ბოძმა ფრთხილად გამოიბა გაფრინდა. მასპინძელმა ბოძში მოიხადა გამგის წინაშე:



— გვაპატიეთ, ხელი შეგიშალეთ, უფრო-ოდ მოვედი. —და ცოლს უსაყვედურა.—ქალო, არა გრცხვენია, რომ ჩვენს ძვირფას სტუმართან გულგრილობას იჩენდი!

გამგე მგებობრულად ხელი დაჰკრა მხარზე და..

გამოეღვია. გათენებული იყო. როცა სამსახურში მივიდა, გამგის დანახვაზე სიხარულისაგან ბაგეზე დიმილმა ლეკური ჩამოუარა.

გადასწყვიტა მოხერხებულ დროს გამგესთვის ეამბო ეს სიზმარი.

უკუღმართი ლოდიკა

აპარატის წმენდის წინაღობით, როცა დაწვა, ფიქრებმა გაიტაცეს. თავისთავის ანგარიშს ჩაბარება მოსთხოვა, თვითკრიტიკის ქარცეცხლში გაატარა თავისთავი და გამოარკვია, რომ წმენდაზე კიდევ უფრო გამოაშკარავდებოდა მისი კთი კაცობა. ამის შემდეგ გადაბრუნდა შორე გვერდზე და უღარდელა დაიძინა.

როცა დასვენების დღეს გაზეთში წაიკითხა, რომ ბიუროკრატიზმისათვის მოხსნილი იყო სამსახურიდან პირველი კატეგორიით, მის აღელვებას საზღვარი არ ჰქონდა:



— ჩემზე ამბობენ ბიუროკრატია? ეს ტყუილია. ერთჯერ რომ შიშხას კაცმა, მე ათასჯერ ვეტყვი და მთელ ლექციას წავუყუთხავ სამაგიეროთ!

და ის კი არ იცის, რომ სწორედ ეს არის ბიუროკრატიაში. სწორედ ამისთვის მოხსნეს სამსახურიდან.

„ვერცხლის წყალი“

— ჩემი მუშაობის აწონვა რომ შეიძლება ზოდეს, ანდა გაზომვა, წონით ათასი ტონა გამოვიდოდა, ხოლო სიგრძით ათასი კილომეტრი!—ამბობს ეს კაცი. (იდგილკომის თავმჯდომარეა). ალბად ჩემი ენერჯია უღრის ათას ცხენის ძალის ენერჯიან ჰიდროელა-დგურს.

მართლაც, იშვიათად ნახეთ მას დამჯდარს, ყოველთვის დადის, კი არ დადის—დარბის, კი არ დარბის—დაჰქრის.

— კაცო, „ვერცხლის წყალი“ ხომ არა ხარ, რომ ყოველთვის დაცქრიალობ?

— ნიშადური ხომ არ აქვს ამოცხებული, რომ ყოველთვის დარბის?

— ამოცხებული არა აქვს, მაგრამ საქირია კი, რომ ამოცხვოს!—ამბობენ მუშა-მოსამსახურენი.



— საწვეგო ანარიცხები!

— დიფაი კოპერატივში!

— საშეფო სოფლის—ეუბნებთან მას.

— კაცო, სად მცალია მაგისტვის; საქმეებში ყელამდე ვარ ჩაფლული!—თავიდან იშორებს აბეზარ რწმუნებულებს.

— სესხის კამპანია!—ახსენებს ადგილკომის წვეგო.

— კაცო, დამახრვეთ ბარემ და უმჯობესია. არა მცალია, ძმაო, მაგისტვის.

— შეშის საკითხი!

— კაცო, თქვენ ხომ არ გაგიყებულხართ! რა დროს შეშაზე ლაპარაკი, როცა ყინვით აციებენ სასმელ წყალს. სად მცალია მე მაგისტვის.

— მანუფაქტურის გამოწერა თანამშრომლებისათვის!

— ჰა, მოცილილი კაცი! ხალხნო, გაიგეთ, რომ საქმეებში ვიხრბობი და მაგისტვის არა მცალია.

ასეთია ადგილკომის თავმჯდომარე, რომ მელწედაც ასეთი ლექსი შეთხზეს:

მიდის, მოდის გაბრიელი,

საქმის კაცის აქვს იერი.

სიტყვებია ცაიიღლა,

არავინ ჰყავს მადლიერი.

ნიანგური პასკის საქონლის ქარხანაში

„თვითკრიტიკა“

წმინდაზე დახურულ ფარდულის
გამგეს კიბილე კალანდაძეს აუარე-
ბელი ბრალდებები წამოუყენეს, მაგ-
რამ მაღალაშვილი გამოექომაგა, რა-
დგან „შავ კარებიდან“ ლებულობდა
საქირო საქონელს. (ფაქტები: 12 ავ-
ნის მაღალაშვილმა ფარდულიდან
გამოიტანა ქალის კოსტიუმი, ჩულქე-
ბი, ტუფლები, ნასკები, ხალათი, შა-
რვალი და სხვა „წვრილმანი“, მაშინ,
როდესაც საუკეთესო დამკვერელი
მუშები გამგეობამ (იგივე კალანდაძე
განაწილების გარეშე დასტოვა).

კირილემ სთქვა: ფარდულს ვზი-
ვარ

ვერვინ მოვა ჩემზედაო,
მაღალაშვილი მფარველობს
რას დამაკლებს მე წმინდაო.
ისეთ ფასებს დაფუფასებ,
უგრძელებდა ყველი ცხვირი.
მოტივი მაქვს — თითქოს ასეთ
„დეკრეტს“ უშვებს (კეკავშირი
სახლისთვის შეშა, ლობიო,
ვიყიდე, გითხრათ მართალი-
ფულის მაგიერ მივეცი
კოპერატივის ფართალი.
ნოქრები მიტომ მოვხსენი,
უფარგისებათ ვსცანია. —
და მათ აღგიღზე მოვაწყვე
მოყვრები, არა სხვანია.

—:—

პარიზი

ბევრჯერ ვსთხოვეთ კარიერში
საქეიმო პუნქტის გახსნა,
რომ ადვილი ყოფილიყო
მარცხისაგან მუშის დახსნა.
მაგრამ ჩვენი დირექცია
(თითქოს ზისო იგი ქურში),
მეორედან უშვებს, რასაც
გაიგონებს ის ერთ ყურში.

—:—

კიოსკის გაგზე კუზანოვა გასაღებათ როდის მოვა

„...“ კონტა კატო,
„შენადელის“ დელეგატო,
უნდა კალმით დაინატო, —
და თუ მკითხავ, ვითომ რატომ?
გეტყვი, ჩემო ანდამატო:
— რისთვის სტოვებ კიოსკს მარ-
ტო.

ჩვენ ამას გთხოვთ განგიმარტო,
თორემ ბოლოს არ იდარდო
რომ „გაგჩისტონ“, ჩემო „ვარდო“.

კომუნდანი ჩხიძე დადის მუღამ ხშირში.



ჩვენი ქარხნის კომუნდანი
„საქმის კაცი“ დიდზე დიდი
ჯიბით დააქვს მუღამ კვარტი
...ზე ხულოს გაჰყიდის.

იარაღით შემოსილა,
მნახველს გივლის შიშის ზარი;
გეგონებათ „ბრონევიკა“,
ან მოძრავი არსენალი.
დამკვერელია მამაპაპურ
ქეიფსა და ღვინის სმაში;
...ლია მუშკორების
დევნა — შევიწროებაში.
— ჩემ! მე სერგოს შეძახიან,
ქელი არსად მომიხრია;
აზნაურის პავონები
ჯიბი კიდევ არ ამიყრია.

—:—

კანტორა


ეს როგორ არის ვერ მივხვდი,
საქმე, ნეტავი, რაშია?
კულაკნი, აზნაურები
სუყველა კანტორაშია.

—:—

ლაგორატორია

მუნ ამბავს გეტყვით თამარზე
გასაკვირს გასაკვირალზე:
გადვიდა სიმულანტობის
ის განუწყვეტელ კვირაზე.

—:—



დირექტორს მიათრევენ კოვბაზე

ჩვენი „გმიკავი“

შიეთ-მოეტმა ჩიჩუამ
კედლის ვაზეთი დახია.
უჯრედმა უთხრა კედლკორებს:
— კარგი ჰქნა, თქვენზე ახია!

—:—

ენაო იაშვილისა
ორ მეტრზე უფრო გრძელია;
ენატანია, მეჭორე,
არის ნამდვილი მელია.

—:—

ორას მანეთს იღებს მუქთად
მუყანაძე ჩვენი ლექსო;
(ეს ამბავი საკვირველი,
კაცმა როგორ არ გალექსო).

—:—

ტარიელობს მუშკორებზე
მოყმე ვინმე რობაქიძე,
ნესტანო გამიწერეს,
მუშკორს სდევნის მიჯნურ-სიძე.

—:—

ლოკოტიფანიძის ძალი

არ იფიქროთ — ქარხანაში
წრომა მსურდეს თითქოს მეო.
ბიულეტენს, როცა მინდა
მე შვილოდენ თვითონვეო.

—:—

კუფელდი:

წარმოების გამგე კუფელდს სასა-
ცილოდ არ ყოფნის საამქროს სამე-
ურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკით-
ხი. იგი ასე მსჯელობს:

ვიღუპებით, დირექტორო,
ჩვენ გვექნება ზარალიო.
დირექტორმა ბანი მისცა:
„ვარალი და თარალიო“

—:—

ელეპტოკო საამქრო

მამაჯანოვმა ცხვარი „იპოვნა“,
დაჰკლა 12 ივნისს ღამით და მოუღ-
ბინეს შემდეგ ამხანაგებმა... (გვარები
ინახება საიდუმლოთ).

ჩვენმა სერგომ დაჰკლა ცხვარი,
ცხვარი დაჰკლა ჩვენმა სერგომ;
შეეწია მაცხოვარი
მისი ხორცი ვისაც ერგო.
გაიშალა სუფრა მოლზე,
აქეთ მწვადი, იქით ღვინო.
ჩაუბუქნა სერგომ დოღზე:
ჰა, ბიკებო, მოუღბინოთ!



ნიანგის საკბილო

ნოქარი კოლია

„სოფ. ილორის (სამტრედიის რაიონი) სამომხმარებლო კოოპერატივის ნოქარი ხშირად კეტავს კოოპერატივის და თავის ნებაზე დასეირნობს. იგი ხალხს უხეშათ ეპყრობა“.

მარნელი ქაჯი
ეს ნოქარი კოლია პარტიული კაცია, კოოპერატივი ჩვენი თავის დაქნათ აქცია. მუშტრებს ლანძღავს, აგინ...



უხეშია, ფლიდია, სხვისი შეურაცყოფა ფეხებზედაც მკილია. დადის თავის ნებაზე დუქანს კეტავს მარადა, არ იშურებს არაფერს ხალხის გასამწარადა.

სამაგალითო მაკიმი

„ხიდისთავის საეკიმო პუნქტის გამგე ავადმყოფების დახმარების მიზნად ძმა - ბიჭებში კარტს თამაშობს“.

მოსული.

პუნქტის გამგე ვარ ექიმი, დანთქმული მთელსა დაბაში. ნიყვარს დროების ტარება ნარდის და კარტის თამაში. ძმა - ბიჭებიც ხომ ბევრი მყავს ხელს რომ მიწყობენ ამაში, ვალიკო, ლუკა, მირიან პლატონ გაწვრთნილი ჭამაში,



კალანდაძენი გვოადა ლადიკოც კაცი მამაცი. უველამ შევკარით პირობა მხოლოდ სამი დღე კვირაში ვალიკო კალანდაძისას გავმართოთ კარტის თამაში. — ავადმყოფები? ჯანდაბას, ჩემგან ნუ ელის შეველასა, რისთვის ხდებიან ავადა, სულიც ამოძვრეს უველასა.

400 მანეთი

სოფ. ოზრის (ბაღდადის რაიონი) სკოლის გამგე — შ. მაჩიტაძემ კლუბის შესაკეთებლად გადაღებული 400 მანეთი გაფლანგა“.

ი. ნი



მაჩიტაძე შალვა ვარ და ვიყავი, ქეიფსა და ჭამას ხელი მივყავი. ვიცი — საქეიფოდ საჭიროა ფული, ფული საკუთარი ანდა მოპარული, რომ ღვინით, ხანდახან უელი გაისოლო, მეც მიტომ გაფლანგვას მიყავ ხელი ბოლოს, ცოტა რამ შევსანსლე ჯერჯერობით მხოლოდ მანეთი ოთხასი ერთდროულად კმარა, კარგადაც გადავკარ თუ არ წამემწარა.

ჭაშის ბამბე

უშვოპის № 124 სასადილოს გამგემ ხეჩინაშვილის ქალმა სასადილოდან მოიპარა სამი სვეცხალათი, ორი კილო ერბო, 8 კილო შაქარი, ტაშტი და სხვ.“


მ. — ვი.

ხეჩინაშვილის ქალია მთელი მუშკობის თვალთა! მუშაკი დიდებულია, (დაწინაურებულია!). სასადილოდან იპარავს სხვადასხვა სანოვავებსა, ვინ გაუბედავს შენიშენას, ხაზეინსა და გამგესა! მაგრამ გაუგეს ოინი, ფაქტებს აწ ველარ მიჩქმალავს, ვერც ის ბოზოკა უშვკლის ვისი ხელებიც იფარავს.

მავნებლების გულე

„ზუგდიდის ფოსტა - ტელეგრაფის კანტორა ავსებულა მავნებლებით. მოსამსახურეების უმრავლესობა მუშაობის ნაცვლად ლაზღა-ნდარობაში ატარებს დროს“.

ძმა ბიჭუნა



ზუგდიდის ფოსტა - ტელეგრაფს პატრონი არ ყავს ალბათა, და მვენებლებმაც ამიტომ აქ კარგად მოიკალათა. ძაღლია მისი აწერა რა სისაძაგლეც აქ ხდება, არსად გვინახავს ამგვარი ხალხის აბუჩად აგდება. უბრალო ცნობის მიღებას ევეობით აგვიანდება, უამგე ამისი მნახველი, ნეტავი როგორ ბრძანდება? ნებ დაყრუვდა - დაბრძანდა და ველარა გრძნობს წყუელს რომ მთელი ფოსტის კანტორა ლაყბოდ არის ქცეული. მაინგო შეველა გვჭირია ზეგარდნილთ ამგვარ დღეშია. წამოგვეშველემ, გაშკარი მავნებლებს შენი ეშვია.

უსტარი ნიანგს

(ბათოზი. ინფლუენცია) ტიხენი-

აბა, მიიღე ჩეგაა... საქმე გახადე თქვენს გულის ყურად. დრო ჩვენ არ გვიცდის, საქმე უჩქარის რომ ნაკლს დავარტყვებ ბოლშევიკურად. ვკითხავ მე სკოროგ-კვაქანტირადეს: (ორად არ იცნოთ,—ერთი კაცია) რამდენჯერ ნახავთ სკოლის ბინაზე და ან რამდენათ ჩვენ წინ წაგვწია. ვკითხავ; თუ საქმე მომარაგების როგორ დაიწყო იმან თავიდან — არვინ გვეპყრობა ჩვენ ყურადღებით, თუმც ერთი წელი უკვე გავიდა. არ ზრუნავს გამგე. მაგრამ იმ გამგეს ყავს კიდევ თავის „ზამესტიტელი“, ჩვენს ტივილებზე ისიც არ ზრუნავს, აღმდებული აქვს საქმეზე ხელი. პრაქტიკის საქმე სულ ჩაიფლშა, (არც თეორია და არც პრაქტიკა). ეს უთავობა არ არის განა, დაუდევრობა ან ვოლოკიტა?!

მიხეილ-ოლი.

თანამშრომელ ანდამები

◆ ღამე შავია, მაგრამ მანებლობა ღამეზე უშავესია.

- ა.ო.
- ◆ ცუდი მართველს ცუდი შიკრიკი ჯობიაო.
 - ◆ ძველი ლხინი ახალ ჭირს მირჩევნიაო.
 - ◆ წმენდის დაშინებული სახლში ცოლს ეჩხუბებო.
- და.ო.
- ◆ ჯერ „თბილო ადგილო“ მერე ძმა-ბიჭებო.
 - ◆ ტყუილს გრძელი ფეხები აბია, მოჭრი და დამო-კლდებო.

ბახო.

(ლანჩუთისათვის)

— რაიკოპის თანამშრომარემ სთქვა: მე კი მივწერ სავაჭროს — „მიეცი მეთქი“ და მან გინდ მოგცეს და გინდ არაო.

— მოწერილობა ხელში მაქვს, სავაჭროში რა მინდა, საწყობში გავივლიო.

— ახალი კლუბის გამგე, ნეტავ რას იზამსო.


— რკ. გზ. კედლის გაზეთს ვკითხულობდი და საღ-ფურის უფროსმა ხელი მტაცაო.

— ფურნეში პური ცხვება, ხალხს მჭადი ურივდებაო.


— ალისტრახო ბაზარს ასუფთავებდა, ღორები ეხ-მარებრდაო.

ჟორა.

ნახ. შ. ბ.



შო.შპრი:— შენი ჭირიზე, გამიღე სება ფორი
მილიციელი:— არა, უნდა დაგსაჯო, ზოგი შენი ამხანაგი
ბუზადაც არ მაგდებს.




— რა ამბავია რა მოხდა?
— არაფერი, მილიციელს ჩამოეძინა და ვდარაჯობთ
— არ გაძარცვონ!

კოოპერატივი

სოფ. ჩხენიში (სამტრედია)


ნახ. ტაბატაძის.



— ხედავ ჩვენს კოოპერატივში რა ქეიფია!
— კოოპერატივი კი არა, სამიკიტნოთ გამოაცხადა
ნოქარმა.

განსკის სასადილოში

ნახ. ტაბატაძის



— ეს რა ჭუჭყიანი ჭიქაა!
— შე კაი კაცო, ყოველდღე ხომ აო გაცოცხავთ, გუშინწინ
გავრცხეთ!

მკითხველებსა და თანამშრომლებს
გსთხოვთ მოგვაწოდონ ნახატების თემები,
რისთვისაც მიიღებენ ჰონორარს.

თემა არ უნდა იყოს ამოღებული უშრატ-
გაზეთებიდან.

გრემლი კაზა

ნახ. ტაბატაძის.



— მა! ეხლა კი მივხვდა, თუ რატომ დაჯდა სამი თვის ჯამაგირი ცოლის ერთი კაზა!

ბორის მაზრაში

აკაკი წერეთლისა და ლენინის ქუჩის შემაერთებელი ქუჩა ისე იყო „განათებული“, რომ ცხვირი კინალამ საოპერაციო გამიხდა.

ბაზარი მოვინახულე. მართლაც შესანიშნავი ბაზარი ჰქონია გორს, იმოდენა ხალხი იყო, რომ თავი ტრამვაიში მეგონა.

ტფილისელი და გორელი ვაჭრები კოლექტიურად „ბორცის დამზადების კვირეულს“ ატარებდნენ.

— ახლად აშენებულ საყდრის მაღლი გამიწყურეს, თუ მე თვითონ ათი თუმანი არ მიმეცეს! — არწმუნებდა ერთი ვაჭარი მეორეს.

— რა ღირს, ძმობილო, ეს გოჭი. — შევეკითხე ვაჭარს.

— ცამეტი თუმანი. — იყო პასუხი.

— რად არის ეგრე ძვირი? — ნაწყენი კილოთი (წონის ზომა არ გეგონათ) მივმარტე.

— ვა, შენ ჩემის ჰაერში დაკიდულს ორას თექვსმეტთანო, მაშ როგორ გინდა, ესეც ხომ ერკობის მარილი არ არის, რომ სამ კაპეკად მოგყიდი! — დამიღრიალა მან.

შიშმა ამიტანა, იქვე გასაყიდათ გამოტანილ წიწმანეტივით გავყვილდი და პირდაპირ საღებურისაკენ გამოვეშურე.

ხატანა.

იუმორ. მოთხრობაზე გამოცხადებულ კონკურსის შედეგი

უიურიმ კონკურსის შედეგი იცნო არადამაკმაყოფილებლად.

ჩვეულებრივი წესით უიურიმ დასაბუქდათ მიიღო მხოლოდ სამი მოთხრობა, რომელთა ავტორებს მიეცემათ თითო 15 მანეთი.

ავტორები: ალექსანდრე იასონისძე მფვანიერაძე, კომკავშირელი, კოლმეურნე, ზესტაფონი, სოფ. საღვინე.

ვასო მამვაზიშვილი, კომკავშირელი, პროფ-მუშაკი, ოზურგეთი.

იოსებ კომახიძე, მოსწავლე, „ნიანგთან“ არსებულ ლიტერატურული წრის მსმენელი, ტფილისი. ჰონორარი მიეცემათ მასალის დაბეჭდვის შემდეგ.

უმუშევრობა მატულობს

— უმუშევრობას ლიკვიდაცია უქნესო, ბიჭო, თუ ლიკვიდაცია უქნეს, რატომ მატარებენ უმუშევრად?


— კ მარა, შენ ტრესტის გამგეთ ხომ იყავი?

— გამწმენდმა კომისიამ ისე გამწმინდა, რომ...

— კი მარა გაწმენდის შემდეგ აკი ტრესტში მოეწყვე?

— მას შემდეგ ხუთჯერ მევეწყვე და ხუთჯერვე გამწმინდეს. ახლა ისევ უმუშევრად დავიარები. ესაა უმუშევრობას ლიკვიდაცია უქენითო! იზრდება, ძაძია უმუშევრობა, იზრდება. კალმოსანი.

ორი მატარებელი




ნახ. ალდადანავას.

— საიდან მოდიხარ აგრე დამტვრეული? მარცხი ხომ არ შეგმთხვევია?

— არა, შემკეთებელ სამაქროდან მოვდივარ.

ნახ. რევაზიშვილის.



სოფლელი (სუფლაორს): — რა გაყვირებს შე ოხერო. თუ წიგნის კითხვა გინდა, სახლში ვერ წაიკითხე, რომ აქ მოსულხარ და ხელს გვიშლი!

მწვანე ბოსტანში კურდღელი გადაიპარა მალულაი.

წიწაკებს გვერდი უხვია, კომბოსტო მოინახულა.

გამოსისინდა და სთქვა მან: — აბა ამ ძლიომას უძელი!

მან დერეფანში იხილა თავისვე მგზავსი კურდღელი თეთრი თოვლივით ნასუქი შემდგარი ორთავ ფეხზედა. პურის ქერქს აკრატუნებდა, ბანტი შეებათ ყელდა.

— აქ რას აკეთებ, ძმობილო? გადმოხტი ჩემთან ხელადო; გავიკუნტოოოოთ ორთავემ ალაღანებულ ველადო.

— არა, ძმობილო, არ მინდა მე თქვენი მინდორველიო.

აქ ყველა მეაღერსება პური მაქვს უზრუნველიო.

— აბა რა გითხრა, ძმობილო, ჩვეულხარ სხვის ხელთ ცქერასა. სახრავად გაპატიებენ, აუტანხარ წერასა.

სჯობს რომ შევწყვიტოთ ბაასი ჩატყდეს ჩვენ შორის ხილიო, რა გიყო თავისუფლებას პურის ნამცეცხე ყილიო.

მუზე.

უზბარნი წამალი

შაქრო მუტელაძე წამოწოლილი იყო და მღეროდა:

ვენაცვალე კომუნისტებს, რომ დამიდნეს ქონია; მე ამათზე საყვარელი არავენ მყავს, მგონია. იყო წინეთ ნიკოლოზი, შემდეგ მენშევიკია; იმათ ხელში ისე ვიყავ, როგორც გულა-ტიკია... აღმასკომმა ჩემი თავი გამოსტაცა სიკვდილსა; წინეთ ქონი თუ მახრჩობდა, დღეს ვახერხებ სირბილსა.

ამ დროს თავზე წამოადგა ძველი მეგობარი.

— ვაა! შაქროჯან, შენ ხომ წინეთ ბოლშევიკებზე ძვირის მეტს არას ამბობდი. დღეს კი მათ მზეს ფიცხლობ. რაშია საქმე? — შეეკითხა იგი.

— ბოლშევიკებს რომ დროზე არ მოესწროთ უეჭველია ქონი დამახრჩობდა.

— ქონი აქ რა შუაშია?

— იმ შუაშია, რომ... ყური დამიგდე და გაგაგებინებ:

ანდრეევის ქუჩის № 121 ჩემი გახლდა. სახლის ქირა თვეში სამასი მანეთი ნაღდი მრჩებოდა. ელისაბედს

ქუჩაზე, ესლა რომ მუშკოობის წითელი სამხარეულოა, იმაში სამიკიტნო მქონდა, სადაც სამ ბოთლ ღვინოში შეიდ ბოთლ წყალს ვურევდი და თავ ღვინოდ ვასაღებდი.

ერთი სიტყვით, ისე გავსუქდი, რომ კანში ვეღარ ვეტეოდი. წონით კამბეჩის ოდენას ვიწონიდი. ექიმების რჩევით ბევრჯერ წავსულვარ კისლოვოდსკში, მარა შენც არ მომიკვდე, ჩემს ქონს მაინც არაფერი აკლდებოდა, ბოლოს ქონმა ისე დამასუსტა, რომ თუ ორი კაცი მხრებში არ ამომიდგებოდა, სიარული არ შემეძლო. ამ დროს ერთბაშად მოხდა ჩვენი ქვეყნის გასაბჭოება და შემოვიდნენ ეს მამაცხონებულეები, რომლებმაც უტყუარი დიაგნოზი დაუსვეს ჩემს ავადმყოფობას და ეს რუმბივით გასუქებული კაცი, ნორმალურ კაცს დამამსგავსეს.

ჩემი განკურნება მათ მოახდინეს შემდეგნაირად: ერთ დღეს მომადგა აღმასკომის გამოგზავნილი სამი მკურნალი (სახლის ჩამომრთმევეები რილა) და გამომიცხადეს:

— შაქროჯან, ღღის რიცხვიდან წაიშლება ამ სახლზე შენი გვარი და სამაგიეროდ დაეწერება „სახინაო კოლპერატაული ამხ-ბა“.

ამ სიტყვებმა ორი ფუთი ქონი სელად გამიქრეს ტანიდან. მაგრამ ჩემი სრულიად განკურნება მაინც არ მოხერხდა. ძლიერ დაღონდა აღმასკომი, რომ სისუსქნისაგან კვლავ ავადმყოფი ვიყავ. ბევრი ფიქრის შემდეგ დაიბარა მუშკოობის წარმომადგენელი და ჩემზე უთხრა: — რაც არ უნდა დაგიჯდეს ავადმყოფს გამოუნახე შესაფერისი წამალი და განკურნეო. მუშკოობმა გამომიგზავნა ორი დოსტაქარი (დუქნის ჩამომრთმევი), რომლებმაც სახარების ენით გამომიცხადეს: „რამე თუ უბანსა მუშებისასა არა არიან საქირიო სამიკიტნონი, არამედ მოუხდების სამხარეულო წითელი, რომელშიაც დაიხადების კერძი სუფთა, გემრიელი და იაფფასიანი, შენს სასაილოს პანაშვიდს ვუხდითო“.

ამ ამბავმაც სამი ფუთი ქონი ერთბაშად დამიდნო და ისე დავმჩატდი, რომ შემიძლია ავიაშვილისეული მწვეარი სირბილის შეჯობრებაში გამოვიწვიო.

აი ამიტომაც, რომ მე კომუნისტებს ვლოცავ; მათ სიკვდილს გადამარჩინეს.

კ. საფირჩხიელი.

(ქუთაისი)

ქუთაისის მეღსანშრომის პროფკავშირის თავმჯდომარე ყელამდე ჩაფლულიყო ცირკულიარებში. ეტყობოდა—მეტად რთული საკითხი ჰქონდა გადასაწყვეტი.

— მაშ ასე, კრებას ვახსნილად ვაცხადებ, დეიწყე ოქმის წერა, მდივანო.

— კი, მარა ჩვენ ორი ვართ და კრება კანონიერი იქნება?

— უკანონო რამეს ჩვეიდან მე? რავა ფიქრობ ბოზო, შენ? ჰო და შემხვედრი საწარმოო საწვინგეგმა უნდა შეგადგინოთ დაჩქარებით. ამჟამად საგიფეში სამოკამდე სულით ავადმყოფია მოთავსებული. შემხვედრ გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ ასამდე.

— კო მარა, რა გარანტია გვაქვს, რომ მათი რიცხვი გაიზრდება და არ დაიკლებს?

— მაგის ჯავრი ნუ გაქვს შენ, პატარა სიცხის გრადუსმა ეიწიოს კილო ზევით და მერე ნახავ რაც მოხდება. ცოტაა გაკოტრებული ვაჭრები, ანდა გაბრილადებული მღვდლები? (წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა).

შაკო.

„სამი რადიო“

(ველისცინა)

დროშით, ამალით მოქპონდათ სამი რადიო გზაზედა, გამოიშალნენ გლეხები,

ზურნა-დუღუკის ხმაზედა.

დადგეს და ალაპარაკეს უკვირდა ყველა მნახელსა,

და ბევრ გლეხს სიხარულისგან ღიმმა გადაჰკრა სახესა.

კულაკებს ეს არ იამათ, ხელი მოიდგეს ყურზედა

ნახეს რომ მათზე ცუდს ამბობს ბოლმა მოაწვათ გულზედა.

...მაგრამ სამივე რადიო დადუმდენ სამივე პირითა,

ჩვენში ვერავინ გაიგო— დამუნჯდენ რომელ „ქირითა“.

ზოგმა რა უყო, ზოგმა რა ზოგმა ჩაქუჩით „აკეთა“


რომელმაც ხელი მოავლო თითო ნაწილი აკვეთა,

ველარა ენახეთ მათი ხმა და ატოკება ზაგეთა.

...სამი რადიო გამართეს ხანის მღეროდა ხან ისა,

სამივე ერთ დღეს დაბუნჯდა ხან ის ვიტირეთ, ხან ისა,

ლენტო.



გორი

ბიტოლს (აქვე): ტრამევის ბილეთის აბონემენტისა და კონდუქტორ კლიმენტის შესახებ გვწერთ, რომ:

მე კონდუქტორზე დავსწერე ლექსი.

ერთის მაგიერ მოხია ექვსი, გადაყოლა ხუთი ფურცელი და ამეშალა წამსვე მუცელი.

ცუდი შემთხვევა მოგსვლიათ ტრამეაში. აი, ეს ლექსი რომ მაშინ დაწერილი გქონებოდათ, ალბად ძალიან გამოგადგებოდათ.

პ. ნათობილაძეს (გორი): თქვენ გაინტერესებთ გაიგოთ, თუ ვინ არის ჩვენი თანამშრომელი „ჰაზირა“; ის, რომელიც გრიშაშვილს ჰყავს თავის „ტფილისის ბოჰემა“-ში, თუ — სხვა.

თუ თქვენ წაკითხული გაქვთ „ტფილისის ბოჰემა“, შიგ სწერია 172 გვერდზე: „ჰაზირა... ვარდაცვალა 1912 წელს“. მაშასადამე, ნიანგის „ჰაზირა“ სხვა არის, ვინაიდან ჯერ კიდევ ტეხნიკას არ მიუღწევია იქამდე, რომ შესაძლებელი იყოს საიტიოდან კორესპონდენციების გამოგზავნა.

კამბეშის (ოზურგეთი): გვწერთ, რომ:

გადავწყვიტე — დღეის შემდეგ ერთი ლექსიც არ დავსწერა.

თავს ვანებებ პოეტობას და ყველას გთხოვთ დამიჯეროთ. აი, კქუაზე ახლო ხართ. ძალიან

კარგსაც იზამთ. ამიერიდან თქვენ შეგიძლიათ ფსევდონიმი გამოიცვალოთ, რადგან ჰქვიან კაცს არ შეეფერება ახლანდელი თქვენი ფსევდონიმი.

ყოჩაღ, ყოჩაღ! მოგილოცავთ და გესალმებით ასეთი გადაწყვეტილებისათვის. აუცილებლად დაიცავით და ცხოვრებაში გაატარეთ ეს გადაწყვეტილება.

მაზოლს (აქვე): ჩვენ გგონია, რომ სჯობდა ფსიქიატრიულ ექიმისათვის მიგემართათ, ვიდრე ჩვენთვის ასეთი ლექსით:

გადავირევი ან დღეს, ან ხვალე,

შიშველე რამე, შენ გენაცვალე.

აწ რა უნდა გიმელოთ? უკვე გვიანია!

მჭრელს: სრული ჭეშმარიტებაა, რომ:

ზოგ კლუბებში იდგება

დომხალი და ხალტურა.

სჯობს რომ სულ არ დაიდგას,

არ უყურებს მას ტურა.

იაკრამ ისიც უფრო დიდი ჭეშმარიტებაა, რომ ხალტურა ამ თქვენს ლექსში მეტია. რას ერიით საწყალ ტურებს? გან იმისთვის უნდა დავსავლოთ, რომ „ხალტურას“ რითმად ეგუება?

სხაპს (ლანჩხეთი): გვწერთ, რომ „უქმად ყოფნას, მუშაობა სჯობია“ და ამიტომ დაგიწერიათ ეს წერილი. ასეთ შემთხვევაში „მუშაობას“ უქმად ყოფნა სჯობია.



ყველა ჩვენი თანამშრომელი და მკითხველი, მათი მეგობრები და ნაცნობები, ამ უკანასკნელთა ნაცნობ-
 შცნობი და უოველი შეგნებული საბჭოთა მოქალაქე ვალდებულია თავისი საბატიო ვალი მოინადღოს სოციალის-
 ტურ სამშობლოს წინაშე: უნდა იქონიოს შემნახველ საღაროს წიგნაკი და უნდა შეიძინოს „მე-8 გადამწყვეტი
 წლის“ სესხის ობლიგაციები ერთი თვის ხელფასის რაოდენობით მაინც!